603/2 1155

„ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲐ, ᲠᲐᲗᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲒᲐᲮᲓᲔᲡ!“

ეს სიტყვები ჩვენი სახელოვანი დიდოსტატის ნანა იოსელიანის შესახებ გამოჩენილ იუგოსლაველ მოჭადრაკეს ბორა ივკოვს ეკუთვნის. 1979 წელს რიო-დე-ჟანეიროში ერთდროულად მიმდინარეობდა ქალთა და ვაჟთა საზონათშორისო ტურნირები. ივკოვს საშუალება ჰქონდა გასცნობოდა 17 წლის ქართველი ქალიშვილის თამაშს, რომელმაც 16 შესაძლებლიდან 14,5 (!) ქულით (13 მოგებითა და 3 ყაიმით) — ასეთი სავსებით ფიშერისებური შედეგით — აღტაცებაში მოიყვანა მთელი საჭადრაკო სამყარო!

ივკოვის ეს სიტყვები არასოდეს დამვიწყებია, მით უმეტეს, რომ იმ დროიდან მოყოლებული, ნანა უტრიალებდა და ახლაც უტრიალებს მსოფლიო ჩემპიონის ტახტს. ვთქვათ ისიც, რომ ისე ახლოს ამ უმაღლეს წოდებასთან, როგორც ახლაა, ნანა იოსელიანი მაინც არასოდეს ყოფილა.

ასე ლაპარაკი შეიძლება ახლა, სულ რამდენიმე დღის წინ კი...

ჟუჟა პოლგარმა, რომელზეც ჩვენ ადრე ბევრი ვილაპარაკეთ, მატჩი ორი მოგებით დაიწყო. რაღა რჩებოდა?! თითოეული მომდევნო ყაიმი უნგრელს მიზანთან აახლოებდა, კიდევ ერთი მოგება კი, ცხადია, ამთავრებდა ამ ორთაბრძოლას.

მაგრამ საქმე ის არის, რომ მესამე პარტიიდან მოყოლებული, ნანა „კლდესავით იდგა“ და ჟუჟასთვის სანატრელი ის ერთადერთი მოგება არსად ჩანდა. სხვების არ ვიცი, მე კი, ადრე ნანას თამაშს რომ ვადევნებდი თვალს, მრჩებოდა შთაბეჭდილება, რომ მას ბევრი გამოუყენებელი შესაძლებლობა ჰქონდა. ერთხელ ვერ გამოიყენა, მეორედ....

მესამე პარტიიდან მოყოლებული, როცა თამაში, ფაქტობრივად, „ცალ კარში“ მიმდინარეობდა და პოლგარი რის ვაი-ვაგლახით იცავდა თავს, მართლაც შეგვეძლო ამ გამოუყენებელ შესაძლებლობებზე გველაპარაკა.

მეოთხე პარტია. ნანამ ყველანაირად აჯობა მეტოქეს, გნებავთ — სტრატეგიული თამაშით. გნებავთ — ტაქტიკურ გართულებებში. რაღა რჩებოდა მოგებამდე? შესაძლოა, ცოტაოდენი იღბალი. აი, სწორედ ეს იღბალი კი ნანას ამ პარტიაში არ ჰქონდა. ათასში ერთხელ ხდება, რომ ზედმეტ ფიგურასა და პაიკს მოგებისკენ არ მივყავართ. ის „ათასში ერთხელ“ სწორედ ამ პარტიაში მოხდა.

უცნაური ის იყო, რომ „ათასში ერთხელ“ მეშვიდე პარტიაშიც განმეორდა. ეტლების ენდშპილში რომ ორმა ზედმეტმა პაიკმა თამაშის ბედი არ გადაწყვიტოს, ამაზე მეტი უიღბლობა იქნება? მოჭადრაკეებმა იციან, რომ არის ასეთი პოზიციებიც. როგორია, სწორედ მათ რომ გადაეყრებით!

და მაინც, ერთი რამ აშკარად იგრძნობოდა — ნანა ყოველ ახალ პარტიაში სულ უკეთ და უკეთ თამაშობდა. ჟუჟას კი წინააღმდეგობის ძალა აკლდებოდა. რა თქმა უნდა, უნგრელი დიდოსტატის მდგომარეობა სავსებით გასაგებია — იგი მონტე-კარლოში ჩავიდა უძლეველის რეპუტაციით, რომლისთვისაც თვით მოქმედი მსოფლიო ჩემპიონიც კი ღირსეული მეტოქე ვერ იქნებოდა (ეს ასე მოხდებოდა კიდეც!), ჩავიდა „მივედი, ვნახე, დავამარცხეო“ განწყობილებით და, ვერაფერში... ვერაფერი დაამტკიცა! ნანა მეტოქეზე მეტს ხედავდა, უფრო შორს ითვლიდა, იერიშს უკეთ წარმართავდა, ენერგიაზე და შეუპოვრობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

4:4. პირველი „დამატებითი დრო“. შეკვეცილ კონტროლს (45 წუთი 60 სვლაზე, 15 წუთი მომდევნო 20 სვლაზე) უპირატესობა თითქოს უნგრელი მოჭადრაკისთვის უნდა მიეცა, რომელიც მსოფლიოს არაოფიციალური ჩემპიონია სწრაფ და ელვისებურ ჭადრაკში. მან მოიგო კიდეც პირველი პარტია, მაგრამ წააგო მეორე და ყველაფერი თავიდან დაიწყო.

მეორე „დამატებითი დრო“. მეორე და უკანასკნელი, რადგან ამის შემდეგ ყველაფერი წილისყრას უნდა გადაეწყვიტა. პირველი პარტია ისევ ჟუჟამ მოიგო, მეორე — ნანამ. 6:6!

რა ნერვები უნდა ჰქონდეს მოჭადრაკეს, ასეთ ვითარებაში რომ წონასწორობა შეინარჩუნოს. ამასთან, რახან „მოქმედება“ მონტე-კარლოში, კაზინოების ამ მსოფლიო დედაქალაქში ხდებოდა, ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს ჩვეულებრივი წილისყრის ნაცვლად რულეტისათვის მიემართათ. რულეტმაც იტრიალა, იტრიალა და გამარჯვება ნანა იოსელიანს მოუტანა, იმ მოჭადრაკეს, რომელიც ამ მატჩში სრულიად აშკარად აღემატებოდა მეტოქეს. სამართლიანობაც ამას ჰქვია!

ერთი სიტყვით, მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო, მაგრამ რისიც თითქმის არავის სჯეროდა. მსოფლიო ჩემპიონს მართლაც უძლიერესი პრეტენდენტი ხვდება, ჟუჟა პოლგარმა კი, რომლის რეპუტაცია, ცხადია, მაინც არ შელახულა, თავისი ოცნებები ორი წლით უნდა გადადოს.

ნანა იოსელიანს ადრეც არაერთხელ გაუხარებია ქართველი სპორტის მოყვარულები, მთელი საქართველო. მაგრამ გახარებაც არის და გახარებაც — ამჯერად მან ნამდვილი გმირობა ჩაიდინა და დიდი და საყოველთაო სიყვარული დაიმსახურა. ასეთი კი სპორტში მხოლოდ ერთეულების ხვედრია.

ბიბი ბამრეკელ

* * *

„ᲚᲔᲚᲝᲡ“ ᲛᲘᲚᲝᲪᲕᲐ

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲑᲚᲐᲒᲘᲫᲔ 70 ᲬᲚᲘᲡᲐᲐ

ცნობილი ქართველი ოსტატი, საქართველოს სამგზის ჩემპიონი და წლების მანძილზე საქართველოს ნაკრების უცვლელი წევრი ალექსანდრე ბლაგიძე 5 მარტს 70 წლისა გახდება.

მრავალი საკავშირო პირველობის მონაწილემ, მსოფლიო ჩემპიონ ტიგრან პეტროსიანის უფროსმა მეგობარმა და პარტნიორმა, ცნობილმა მწვრთნელმა ბევრი ძლიერი მოჭადრაკე აღზარდა.

ვინც საჭადრაკო კურიოზების შეკრებას აპირებს, ბატონ საშას უნდა მიმართოს. ვინც საჭადრაკო შეჯიბრებების ისტორიას წერს — იმანაც მას უნდა მიაკითხოს. ვის არ შეხვედრია ალექსანდრე ბლაგიძე — მსოფლიო ჩემპიონებსა და პრეტენდენტებს, სხვადასხვა ქვეყნის დიდოსტატებსა და ოსტატებს, ჟურნალისტებსა და მსაჯებს...

ვუსურვოთ ბატონ ალექსანდრეს სიმხნევე და ჯანმრთელობა, ენერგია და შემართება ქართული ჭადრაკის სამსახურში.

* * *

ᲛᲘᲚᲝᲪᲕᲐ

ჭიდაობის რესპუბლიკური ფედერაცია დაბადებიდან 60 წლისთავს ულოცავს ამავე ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს ალბერტ კუხიანიძეს.

ლელო

3 მარტი, ოთხშაბათი, 1993 წ.
№ 15 (10 808) ● ფასი 4 მან.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ᲓᲐᲬᲔᲡᲓᲐ „ᲓᲔᲓᲘᲡ ᲓᲦᲔ“

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ დემოგრაფიული საზოგადოების წინადადების გათვალისწინებით საქართველოს პარლამენტმა გუშინდელი დადგენილებით დააწესა „დედის დღე“, რომელიც ყოველწლიურად 3 მარტს აღინიშნება. ეს თარიღი ამიერიდან უქმე დღედ ცხადდება.

ᲓᲦᲔᲡ ᲡᲐᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲨᲘ

დღეს, 3 მარტს, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის სპორტისა და ტურიზმის კომისია (თავმჯდომარე ბეჟან ხურციძე) პარლამენტის შენობის ოვალურ დარბაზში აწყობს შეხვედრას საქართველოს ტურისტული ორგანიზაციების, საწარმოებისა და ტურიზმის რესპუბლიკური კომიტეტის ხელმძღვანელებთან. დასაწყისი 11 საათზე.

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

● **ᲛᲔᲮᲘᲙᲝ.** ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 300 ათასი დოლარი იყო, მოიგო ავსტრიელმა თომას მუსტერმა. ფინალში მან დაჯაბნა ესპანელი კარლოს კოსტა — 6:2, 6:4.

● **ᲛᲐᲢᲔᲠᲐ.** იტალიის ამ ქალაქის ფრენბურთელებმა ყველას აჯობეს აქ დამთავრებულ საერთაშორისო ტურნირში. გადამწყვეტ მატჩში მათ დაამარცხეს თანამემამულეები ქალაქ რავენიდან — 3:1.

● **ᲤᲐᲚᲣᲜᲘ** (შვეცია). მოთხილამურეთა მსოფლიო ჩემპიონატის ბოლო სახეობა იყო რბოლა 50 კილომეტრზე. უძლიერესის წოდება სათხილამურო მარათონში შეინარჩუნა ნორვეგიელმა ტორგნი მოგრენმა. ვერცხლის მედალი ხვდა ფრანგ ერვე ბალანს, ბრინჯაოსი — ოლიმპიურ ჩემპიონს ნორვეგიელ ბიერ. დელის.

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲨᲔᲘᲪᲕᲐᲚᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ძალოსნობის ფედერაციის ყრილობაზე ფედერაციის პრეზიდენტად აირჩიეს რამაზ გურგენიძე (იგი მანამდე ვიცე-პრეზიდენტი იყო). ყოფილი პრეზიდენტი — მეტალურგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე იური ქართველიშვილი აირჩიეს საპატიო პრეზიდენტად. ფედერაციის გენერალური მდივანი კვლავინდებურად შოთა ბუაძეა.

ᲗᲕᲐᲚᲘ ᲛᲘᲐᲓᲔᲕᲜᲔᲗ — ᲜᲘᲜᲝ ᲚᲣᲐᲠᲡᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘᲐ

ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ დამთავრებულ მოსკოვის ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში ქალთა შორის მოიგო თბილისელმა ნინო ლუარსაბიშვილმა. მიაქციეთ ყურადღება და დასკვნაც თავად გააკეთეთ: 16 წლის გოგო გახდა მოზრდილთა ტურნირის ჩემპიონი. ჩოგბურთში, სადაც ასაკსა და გამოცდილებას განსაკუთრებული ფასი აქვს. ასეთი რამ იშვიათად ხდება, ამიტომ ღირს ამ სახელისა და გვარის დახსომება.

დაიბადა 1977 წ. 3 თებერვალს თბილისში.

ვარჯიში დაიწყო 6 წლის ასაკში გოგი ლარიბაშვილთან.

სწავლობს თბილისის 57-ე სპეციალიზებულ სპორტულ სკოლაში.

სიმაღლე — 182 სმ, წონა — 65 კგ.

1987 წლიდან ბავშვთა და ახალგაზრდული შეჯიბრებების მრავალგზის გამარჯვებული და პრიზიორი.

მოგებული აქვს საერთაშორისო ტურნირები სოფიაში, პალერმოში, ლივორნოში, ანტვერპენში, გლაზგოში, მეხიკოში, ლიმაში, კარაკასში.

1989 წელს გახდა ყოფილი სსრკ-ის ჩემპიონი გოგონათა შორის. წლების მანძილზე მოსწავლეთა საკავშირო ნაკრები გუნდის კაპიტანი იყო.

მოსწავლეთა შორის თბილისის მრავალგზის ჩემპიონი.

იხ. გვ. 2 გვ.

…ᲡᲐᲛᲐᲒᲘᲔᲠᲝ ᲬᲧᲕᲘᲚᲔᲑᲨᲘ ᲘᲛᲐᲠ

ᲚᲘᲜᲪᲘ. ავსტრიის ამ ქალაქში დამთავრდა ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 150 ათასი დოლარი გახლდათ და რომელშიც ასპარეზობდა ჩვენი თანამემამულე, თბილისელი ლელა მესხი.

ერთეულთა თანრიგში დამარცხების შემდეგ მესხმა ბრძოლა განაგრძო წყვილთა შეჯიბრებაში რუსეთის წარმომადგენელთან ევგენია მანიუკოვასთან ერთად. აქ ის და მისი პარტნიორი უფრო ეფექტურად იბრძოდნენ და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს. გადამწყვეტ შეხვედრაში მათი მეტოქე უნდა ყოფილიყო მანუელა მალეევა-ფრანიერისა (შვეიცარია) და კონჩიტა მარტინესის (ესპანეთი) დუეტი. მაგრამ ფინალი არ შედგა იმის გამო, რომ ესპანელმა ჩოგბურთელმა ერთეულთა თანრიგში თამაშის დროს ტრავმა მიიღო.

სხვათა შორის, ამ ტრავმის გამო კონჩიტა მარტინესმა ვერ დაამთავრა ერთეულთა თანრიგის ფინალური მატჩი მანუელა მალეევასთან. თამაში შეწყდა ანგარიშზე 2:6, 0:1...

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲢᲠᲐᲞᲘᲖᲝᲜᲘᲡ მცირე მარათონი დამოუკიდებელი საქართველოს მძლეოსნების პირველი საერთაშორისო შეჯიბრება გახლდათ. ათი ქვეყნის 73 სპორტსმენის მხარდამხარ 21-კილომეტრიან დისტანციაზე მოასპარეზე ახალციხელმა ზიგმუნდ ზილბერშტეინმა მე-17 ადგილი დაიკავა. ყველას აჯობა უკრაინის გუნდის წევრმა ვლადიმერ ბუხანოვმა — 1:04.44.

ᲓᲐᲣᲕᲘᲬᲧᲐᲠᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘ

ᲐᲠᲐᲓᲐ, ᲚᲐᲛᲐᲖᲘ, ᲛᲝᲛᲮᲘᲑᲚᲐᲕᲘ ᲒᲝᲒᲝ ᲑᲐᲚᲔᲠᲘᲜᲝᲑᲐᲖᲔ ᲝᲪᲜᲔᲑᲝᲑᲓᲐ

ᲔᲚᲘᲜ ᲛᲘᲠᲝᲜᲘᲡ ოქროს ხელებმა და გონებამ კაცობრიობას ნამდვილი შედევრი აჩუქა — ბადროსმტყორცნელის ქანდაკება. შესაძლოა, იგი ძველი ოლიმპიადების ერთ-ერთი პირველი გამარჯვებული იყო. რატომღაც დარწმუნებული ვარ, მირონს რომ ნინო დუმბაძე ენახა, თავის „ბადროსმტყორცნელში" უსათუოდ შეიტანდა შესწორებას, რაიმე ახალ შტრიხს — ალბათ იგი უფრო დინამიური, ტანმოხული და... ცოცხალი იქნებოდა.

საქართველოში მრავალი დიდი ჩემპიონი დაიბადა, მაგრამ თუ მათში მაინც გამოვარჩევთ, ასე ვთქვათ, „ჩემპიონთა ჩემპიონებს" — ყველაზე ძლიერ, ყველაზე ღირსეულ, თუ გნებავთ, უველაზე პოპულარულ სპორტსმენებს, ერთ-ერთი პირველი აქ, უდავოდ, ნინო დუმბაძე იქნება. მახსოვს, თავის დროზე ახალგაზრდა სპორტის მოყვარულები ბევრს ვდავობდით: ვინ უფრო „დიდია" — ბორის პაიჭაძე თუ ნინო დუმბაძე? ერთი მხრივ ფეხბურთისადმი საყოველთაო სიყვარული გვძლევდა, მეორე მხრივ — უთვალავი „ჩინ-მედლები". ვერა და ვერ შევთანხმდით ჩვენი გულის № 1 სპორტსმენზე. სად იყო მაშინ რეფერენდუმ-გამოკითხვები...

რას იფიქრებდა პატარა ნინო — ოდესის 35-ე საშუალო სკოლის მოსწავლე, რომ ოდესმე მსოფლიოში უძლიერესი სპორტსმენი გახდებოდა, ყველა დროის მძლეოსანთა შორის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურა, დაახლოებით ისეთი, როგორნიც იყვნენ ლეგენდარული ჯესი ოუენსი, პაავო ნურმი, კორნელიუს ჯონსონი თუ მატი იარვინენი. მით უფრო, რომ ცნობილი ოდესელი გენერლის შთამომავალი (ახლა უკვე შეიძლება ამაზე წერა), ასაკის კვალობაზე საკმაოდ ტანმაღალი, გრძელფეხება ნინო, სულ სხვა სფეროში აპირებდა მსოფლიოს „დაპყრობას". ლამაზ, მომხიბლავ გოგოს გადაწყვეტილი ჰქონდა ბალერინა გამოსულიყო. ოდესის საბალეტო სკოლის ნათელ დარბაზში ვალსის მელოდია იღვრებოდა „შჩელკუნჩიკიდან". „ერთი.. ორი..." — ისმოდა პედაგოგის მონოტონური ხმა და... 6 წლის ნინო ოცნებაში უკვე სცენაზე გამოდიოდა პროჟექტორის ვერცხლისფერ სხივში გახვეული. კი არ ცეკვავდა, თითქოს მიცურავდა ჰაერში.

ყველაფერი პირუკუ გამოვიდა. რატომ? სკოლაში რამდენიმე სპორტული სექცია მუშაობდა, ხშირად ეწყობოდა შეჯიბრებები ცურვასა თუ ველოსპორტში, ნიჩბოსნობასა თუ სროლაში, ფრენბურთსა თუ კალათბურთში, მძლეოსნობაში, რომლებშიც ნინო სიამოვნებით მონაწილეობდა, ყველაზე კარგად მაინც ხტომები გამოსდიოდა. ბოლო კლა[illegible] სწავლისას გოგოების საკავ[illegible] რეკორდიც დაამყარა ადგი[illegible]ნ სიგრძესა და სამმაგ ხტო[illegible]ა. ყველას ეგონა, ნინო ჩინებული მხტომელი დადგებოდა. ბადროზე ლაპარაკიც კი არ იყო, მით უფრო, რომ ნინოს პირველი, ოფიციალური შედეგი მძლეოსნობის ამ სახეობაში სულ 25 მეტრსა და 18 სანტიმეტრს უდრიდა (თუმცა ეს მაშინ ბავშვთა საკავშირო მიღწევა იყო), ესე იგი, თითქმის საკავშირო რეკორდის ნახევარს, რომელიც იმხანად სპორტის დამსახურებულ ოსტატს ზოია სინიცკაიას ეკუთვნოდა. ეს ის ქერათმიანი ხარკოველი სპორტსმენი იყო, რომლის გამოსახულებას ხელოვანნი იმხანად ხშირად ხატავდნენ მარკებსა თუ საფოსტო ბარათებზე. ნინო დუმბაძის „ეპოქა მხატვრობაში" გაცილებით გვიან მოვა.

ზოგი ჭირი მარგებელიაო, ხომ გაგიგონიათ: 1936 წლის შემოდგომა იდგა. ნინო ოდესის ზღვისპირა სტადიონზე ვარჯიშობდა — გაუფხვიერებელ სახტომ ორმოში ისკუპა და მუხლი იღრძო. ტკივილმა მალე გაუარა, მაგრამ ექიმებმა კატეგორიულად აუკრძალეს ხტომა. სპორტზე შეყვარებულ, მშვენიერი ბუნებრივი მონაცემების მქონე ქალიშვილს გული შეეკუმშა — ნუთუ ასე, ბრმა შემთხვევის გამო მთავრდება მისი სპორტული კარიერა? იქნებ არის გამოსავალი — ტყორცნები, მაგალითად!..

მთელი ზამთარი კოჭლობდა, თუმცა დროს უქმად არ კარგავდა — მსოფლიოს საუკეთესო ბადროსმტყორცნელთა კინოგრამებს ათვალიერებდა ჟურნალებსა და წიგნებში, ყველაფერს კითხულობდა მძლეოსნობის ამ უძველეს სახეობაზე. ცხადია, საგანგებოდაც ვარჯიშობდა, რათა დაშავებული მარჯვენა მუხლი განეკურნა. ნინო საფუძვლიანად გაეცნო ბადროსმტყორცნელთა მოძრაობის დინამიკასა და ბიომექანიკას, გაუთავებლად ხაზავდა ტყორცნების სქემებს. ამინდი რომ გამოკეთდა, მომავალი რეკორდსმენი თანდათანობით შეუდგა ვარჯიშს ღია ცის ქვეშ. ბრმად არ ბაძავდა საუკეთესო მტყორცნელებს, ცდილობდა თავისი ბუნებრივი მონაცემების — ათლეტური ფიგურის (სიმაღლე — 176 სმ, წონა — 80 კგ) და სისწრაფის გათვალისწინებით საკუთარი ტყორცნის სტილი შეექმნა. დადგა ახალი საზაფხულო სპორტული სეზონი — ნინო დუმბაძემ ბადრო 37,6 მეტრზე ტყორცნა და უფრო მეტი ენერგიით შეუდგა ვარჯიშს. ერთი თვის შემდეგ დამაჯერებლად მოიგო უკრაინის ჩემპიონატი — 40,37. ეს შედეგი უკვე უმაღლეს საკავშირო მიღწევას უახლოვდებოდა. და აი, 1937 წლის 12 სექტემბერს მოსკოვის „დინამოს" სტადიონზე გამართულ პროფკავშირელ სპორტსმენთა პირველობაზე ნ. დუმბაძემ (იგი მაშინ ოდესის „პიშჩევიკის" ღირსებას იცავდა) გააუმჯობესა ზ. სინიცკაიას მიღწევა — 42,13 მ. მართალია, ხარკოველმა ზუსტად თორმეტი დღის შემდეგ კიევში... რამდენიმე წუთით წაართვა ნინოს რეკორდი (ერთი მეტრით აჯობა), მაგრამ დუმბაძემ იქვე მეტრნახევარი წაუმატა შედეგს — 44,51 მ.

საინტერესო ისიც იყო, რომ ნინო ბადროს ერთობ უჩვეულოდ ტყორცნიდა — მოძრაობას იწყებდა ზურგით ტყორცნის მიმართულებისკენ, ამით იზრდებოდა „ზამბარაში" შესვლის მანძილი და ამპლიტუდა. ეს იტალიური სკოლის გავლენა იყო, რომლის ფუძემდებელი გახლდათ ცნობილი ბადროსმტყორცნელი დ. ობერვეგერი — ბერლინში 1936 წლის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი. უნდა ითქვას, რომ თავის დროზე ნ. დუმბაძეს საყვედურობდნენ „საბჭოთა ტყორცნებში ახალი სტილის შემოტანას", მაგრამ ფაქტი ჯიუტი იყო — ერთი სეზონის მანძილზე ნინომ 17 მეტრით გააუმჯობესა თავისი შედეგი და სამჯერ დაამყარა საკავშირო რეკორდი. 1937 წლის ოქტომბერში ნ. დუმბაძემ ერევნის სტადიონზე ბადრო 45,78 მეტრზე გაგზავნა, ერთი წლის შემდეგ კი ბაქოში — 47,33 მ. აჩვენა. ახლა მხოლოდ მეტრზე ნაკლები აშორებდა სახელგანთქმული გერმანელი მძლეოსნის, ბერლინის

იხ. მე-4 გვ.

ფოტოსურათი გადაღებულია მოსკოვის „დინამოს" სტადიონზე ნიკოლაი ვოლკოვის მიერ („ლელოს" არქივიდან).

ᲠᲐ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲖᲔ

● **ᲑᲐᲠᲡᲔᲚᲝᲜᲘᲡ** ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს 400 მეტრზე რბენაში მარი-ჟოზე პერეკს სპორტისთვის თავი არ დაუნებებია. ამიტომ მისი „გარდასახვა" მოდელიორად „ვაგრამის" ცნობილ სალონში დროებითი გატაცება იყო და გარკვეულ ფინანსურ ამოცანებს ისახავდა მიზნად. ახალმა მოდელმა უმაღლესი შეფასება დაიმსახურა, როგორც ამ საქმის სპეციალისტებში, ისე ჩვეულებრივ მაყურებელთა შორის.

● **ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ,** რაც ერთ-ერთი ვერსიით მსოფლიო ექსჩემპიონი მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის ტონი ტაბსი ამხილეს როგორც კოკაინის დიდი მოყვარული და მომხმარებელი, იგი კარგა ხნის მანძილზე არ გამოსულა რინგზე. ამ დღეებში ტაბსს გაუთავდა სასჯელის ვადა და ერთ-ერთი პირველი საკვალიფიკაციო ბრძოლის ჩატარება რუსეთის წარმომადგენელთან ალექსანდრე ზოლკინთან მოუხდა. ექსჩემპიონმა ათრაუნდიანი ბრძოლა ქულებით მოიგო.

● **ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ** საერთაშორისო ფედერაციის სამდივნოს მონაცემებით, დღესდღეობით ევროპისა და აზიის გუნდებში 33 ამერიკელი ფეხბურთელი თამაშობს, მათ შორის 17 — გერმანიაში, 7 — საფრანგეთში, 4 — ინგლისში და თითო — საბერძნეთში, ესპანეთში, ბელგიაში, ჰოლანდიასა, და საუდის არაბეთში. 1992-93 წლების სეზონში აშშ-ის ნაკრებმა 16 შეხვედრა გამართა შინ და გარეთ, მოიგო — ოთხი, დათმო — ცხრა და სამი ფრედ დაამთავრა. საერთო მაჩვენებლები, ცხადია, არ არის სახარბიელო, მაგრამ მთავარი ისაა, რომ მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყნის ეროვნული ნაკრები საინტერესო საფეხბურთო ცხოვრებით ცხოვრობს.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲩᲕᲔᲜ ᲕᲘᲪᲘᲗ...

ᲛᲐᲜᲩᲔᲡᲢᲔᲠᲘᲡ ხელისუფალთა ცდა — ემასპინძლათ მსოფლიო ჩემპიონ გარი კასპაროვისა და პრეტენდენტ ნაიჯელ შორტის მატჩისთვის, ჩაიშალა. როგორც ცნობილია, ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციამ მათი შეხვედრის მასპინძელი ქალაქის საკითხი (პრეტენზიას რამდენიმე ქალაქი აცხადებდა) მანჩესტერის სასარგებლოდ გადაწყვიტა. კასპაროვს, როგორც ჩემპიონს, უფლება ჰქონდა მოენახულებინა მასპინძლობის პრეტენდენტები და საკითხის საბოლოო გადაწყვეტისას საკუთარი აზრიც გამოეთქვა, მაგრამ ფიდემ რატომღაც ნაჩქარევად, ყველასთვის მოულოდნელად არჩევანი მანჩესტერზე შეაჩერა.

განაწყენებულმა კასპაროვმა პროტესტი გამოთქვა, რასაც, ასევე ყველასთვის მოულოდნელად, მხარი დაუჭირა შორტმაც. მან არ ისურვა მატჩის მის სამშობლოში ჩატარება და კასპაროვთან ერთად განაცხადა, რომ უმჯობესია აგვისტოსთვის დაგეგმილი ორთაბრძოლა ფიდესი კი არა, დიდოსტატთა მსოფლიო ასოციაციის ეგიდით მოეწყოს იმ ქალაქში, რომელიც მისადმი ყველაზე დიდ ინტერესს გამოიჩენს (და ალბათ მეტ საპრიზო ფონდსაც შექმნის).

კასპაროვის განცხადებით, მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტი უკანასკნელი შესარჩევი ციკლის საუკეთესო მოჭადრაკეა: „შორტი შეუპოვარი მებრძოლია. საზონათშორისოს ბოლო ტურში შავებით დაამარცხა ისეთი ძლიერი დიდოსტატი, როგორიც მიხეილ გურევიჩია. ამ უკანასკნელს კი პრეტენდენტთა შორის მოსახვედრად ყაიმიც ჰყოფნიდა. და კიდევ: შორტმა პრეტენდენტთა მატჩებში სძლია ჯონათან სპილმენს, ბორის გელფანდს, ანატოლი კარპოვს, ფინალში კი მათ იან ტიმანიც მიაყოლა"...

თუ კასპაროვ-შორტის ადრინდელ შეხვედრათა შედეგებს გადავხედავთ. მათ 1986 წლიდან ოფიციალურ ტურნირებში 15 პარტია ითამაშეს, აქედან კასპაროვმა მოიგო 10, შორტმა კი მხოლოდ ერთი. „მაგრამ ეს იყო მანამდე, ვიდრე ინგლისელი პრეტენდენტი გახდებოდა. ბოლო ორი წლის მანძილზე იგი ძალიან გაიზარდა. ძნელი ბრძოლა მელის, მაგრამ ვეცდები ისე ვითამაშო, როგორც ამას ჩემი გულშემატკივრები ელიან" — უთხრა ჟურნალისტებს მსოფლიო ჩემპიონმა.

ᲙᲐᲠᲒᲘ ᲛᲐᲡᲞᲘᲜᲫᲔᲚᲘ

ᲡᲞᲝᲜᲡᲝᲠᲘ სწორედ ისეთი უნდა, როგორიც მცირე საწარმოო ფირმა „ოდა" (გენერალური დირექტორი რევაზ მულალაშვილი) გამოდგა. მან ჭეშმარიტად მამაშვილური პატრონობა გაუწია ნორჩ მოკრივეებს, რომლებიც ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული რესპუბლიკური სპორტსკოლის ღია პირველობაში ასპარეზობდნენ. 13-14 წლის სპორტსმენებს უთუოდ დაამახსოვრდებათ კეთილი მასპინძლობა და მხარდაჭერა ტურნირისათვის განკუთვნილი ოთხი დღის მანძილზე.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: გელა აკოფოვი (გორი), ნიკო გოგატაშვილი, ედუარდ სართანია, შალვა იაძე, დათო კარაპეტიანი (ყველა — თბილისი), დათო ჩხეიძე, დათო თუთარაშვილი (ორივე — ჭიათურა), დათო უჩაშვილი (თბილისი), ნოდარ ტყეშელაშვილი (ჭიათურა), სოსო თარაშვილი (თბილისი), მანუჩარ ნადირაძე (ჭიათურა), კურაზი უსოიანი, ემზარ სუნჯოევი, მამო კასოიანი (ყველა — თბილისი), ალექსანდრე პრეგვაძე (გორი), კაკო აბესაძე (თბილისი).

თბილისისა და გორის მოკრივეთა წარმატება, ცხადია, კანონზომიერი იყო, აი, ჭიათურელებმა კი სასიამოვნო სიურპრიზი შემოგვთავაზეს ტურნირში მონაწილეობითაც და იქ დაკავებული ოთხი პირველი ადგილითაც.

ᲗᲕᲐᲚᲘ ᲛᲘᲐᲓᲔᲕᲜᲔᲗ — ᲜᲘᲜᲝ ᲚᲣᲐᲠᲡᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘᲐ

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ)

1992 წელს ყველას აჯობა საქართველოს სპორტულ თამაშებში.

მისი უკანასკნელი დიდი წარმატების მისამართი ამერიკის კონტინენტი იყო, სადაც დეკემბრიდან მიმდინარეობდა 18 წლამდე ასაკის ჩოგბურთელთა შეჯიბრებების სერიალი. პირველ შეჯიბრებაში — ფლორიდის „ორანჯ ბოულის" ტურნირში ნაგვიანევი აკლიმატიზაციის გამო სრულად ვერ გამოავლინა თავისი შესაძლებლობები და მხოლოდ მეოთხედფინალამდე მიაღწია. შემდეგ მისი მარშრუტი გაგრძელდა მეხიკოს, პანამის, კოლუმბიის, პერუს, ეკვადორის, ვენესუელის, ჩილესა და არგენტინის დედაქალაქებში, სადაც სამხრეთ ამერიკის ქვეყნების 18 წლამდე ასაკის ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატების სერია ტარდებოდა. მიღწეულ შედეგებზე თავად იმსჯელეთ — სამი პირველი და ერთი მეორე ადგილი: მეხიკოში მან მოიპოვა „მექსიკის თასი", პერუში — „ბაკარას თასი", ვენესუელაში — „რიბოკის თასი", ეკვადორის თასის გათამაშებაში კი ფინალში გავიდა. დანარჩენ შეჯიბრებებში იგი აღწევდა მეოთხედ და ნახევარფინალებამდე. საბოლოოდ, ამ შედეგების წყალობით 16 წლამდე ასაკის ჩოგბურთელ გოგონათა რეიტინგში მან შარშანდელი 110-ე ადგილიდან საუკეთესო ხუთეულში გადაინაცვლა, ხოლო 18 წლამდე ასაკის გოგონათა რეიტინგში კი საუკეთესო ასეულში შევიდა. ეს ბრწყინვალე ტურნე მოსკოვის ქალთა ღია ჩემპიონატში გამოსვლით დააგვირგვინა, სადაც ნინომ ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

სამხრეთ ამერიკაში ნინოს იხსენიებდნენ, როგორც სერიალის ერთ-ერთ საუკეთესო ჩოგბურთელს. სამწუხაროდ, ჩვენ ხელთ არ გვაქვს ეს მასალები და ფილმი, რომელიც ნინოზე გადაიღო სამხრეთამერიკულმა ტელეკომპანიამ. ამჟამად ნინო არ გახლავთ თბილისში — იგი ისრაელის ტურნირისთვის ემზადება. ამიტომ ვსარგებლობთ შემთხვევით და მივმართავთ სპორტის ყველა ჭეშმარიტ ქომაგსა და გულშემატკივარს, ყურადღებით მიადევნოს თვალი ამ ნიჭიერი ჩოგბურთელის ოსტატობის გზას.

მოგეხსენებათ, თანამედროვე სპორტი წარმოუდგენელია ძლიერი და მზრუნველი სპონსორის გარეშე, მაგრამ ტალანტი, თავის მხრივ, დაუფასებელ კაპიტალს წარმოადგენს, რომელიც ათჯერ და ასჯერ მეტ უკუგებას იძლევა. მსოფლიოს ჩოგბურთის მესვეურები სანთლით ეძებენ ისეთ „მასალას" როგორიც ნინო ლუარსაბიშვილი გახლავთ. ეძებენ, რათა უდანაკარგოდ ამოიღონ ამაგი და კაპიტალი. დღეს და ხვალ ნინოს ნიჭი გარკვეულ ხარჯს მოითხოვს, მაგრამ არც ის დროა შორს, როცა მისი უნარი და შესაძლებლობები რეალურ ძალად იქცევა. ამიტომ ვაფრთხილებთ იმათ, ვისაც სპორტიც უყვარს და საქმეც სათანადოდ იცის: მოჰკიდეთ ხელი და მოუარეთ ამ უდავოდ ნიჭიერ გოგონას!

ᲓᲐᲗᲝ ᲘᲡᲚᲐᲛᲝᲕᲘ

უჭაიმო თამაში

მესამე ტურის სამ დამთავრებულ პარტიაში სამჯერვე წარმატებას მიაღწიეს თეთრი ფიგურებით მოთამაშეებმა: ნინო ხურციძემ — ქეთევან კახიანთან, ინგა ხურცილავამ — არმინა ანდრიასიანთან, გოჰარ ხლგატიანმა — არუსიაკ გრიგორიანთან (სამივე — სომხეთი). თეთრების ჰეგემონია არც ორ გადადებულ პარტიაში დარღვეულა — მაია ლომინეიშვილი დამარცხდა ნინო გურიელთან, შუშანიკ აირაპეტიანი — ლიუდმილა ასლანიანთან (ორივე — სომხეთი), არადა, წინა ტურში სწორედ „შავებს“ ჰქონდათ დიდი უპირატესობა — მათ ოთხჯერ იზეიმეს გამარჯვება.

კიდევ ერთი დეტალი: მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა ახალი ციკლის მეხუთე ზონალური ასპარეზობის „ბ“ ჯგუფის ამ ასპარეზობაში, რომელიც თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში გრძელდება, სამი ტურის 15-მა პარტიამ ისე ჩაიარა, მეტოქენი ერთხელაც არ დაზავებულან. პირველი ყაიმი აღინიშნა მხოლოდ IV ტურის პარტიაში — ანდრიასიანი — ხლგატიანი.

IV ტურის სხვა შედეგები: ლომინეიშვილი — აირაპეტიანი 0:1, გრიგორიანი — ასლანიანი 0:1, კახიანი — ხურცილავა 0:1, გურიელი — ხურციძე 1:0. ეს ხურციძის პირველი წაგებაა.

ხურციძის ბედი მეხუთე ტურში გაიზიარა ხურცილავამ, როცა თეთრებით ვერაფერი გააწყო გურიელთან. სამაგიეროდ, პირველი გამარჯვება ჩაიწერა ლომინეიშვილმა (ხურციძესთან). იმ დღეს დაუმთავრებელი დარჩა ხლგატიან-კახიანის პარტია, რომელშიც, როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, ყაიმია მოსალოდნელი. სხვა ორ პარტიაში ასლანიანმა აჯობა ანდრიასიანს. აირაპეტიანმა — გრიგორიანს. ეს უკანასკნელი ერთადერთი მოჭადრაკეა, რომელსაც ამ ტურნირში ჯერ არაფერი მოუპოვებია. არადა, უკან დარჩა შეჯიბრების ნახევარზე მეტი (სულ 9 ტური მოეწყობა).

მეექვსე ტურის წინ, რომელიც ორშაბათს ჩატარდა, 4-4 ქულით ლიდერობდნენ: დიდოსტატი გურიელი, საერთაშორისო ოსტატი ასლანიანი და ოსტატობის კანდიდატი ხურცილავა. 3 ქულა ჰქონდა ხურციძეს, 2-2 — კახიანს (ერთი გადადებული) და აირაპეტიანს. VI ტურის პარტიები ასე დასრულდა: ლომინეიშვილი — გრიგორიანი 1:0, ანდრიასიანი — აირაპეტიანი 1:0, კახიანი — ასლანიანი 1:0, გურიელი — ხლგატიანი 1:0, ხურციძე — ხურცილავა 1:0.

ექვსი ტურის მერე საქართველოსა და სომხეთის მოჭადრაკეთა ამ თავისებურ მატჩში (ერთმანეთთან შეხვედრების მერე) ჯერჯერობით ანგარიშია 9:2 მასპინძელთა სასარგებლოდ.

UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

გუშინ განახლდა ევროპის საკლუბო ტურნირების 1992-93 წლების გათამაშება, დადგა ამ მეტად საინტერესო შეჯიბრების მეოთხედფინალური შეხვედრების დრო.

ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის მონაწილენი დაყოფილი არიან 2 ჯგუფად. „ა“ **ჯგუფში** გამოდიან: ცსკა (მოსკოვი, რუსეთი), „ბრიუგე“ (ბელგია), „გლაზგო რეინჯერსი“ (შოტლანდია), „ოლიმპიკი“ (მარსელი, საფრანგეთი); „ბ“ **ჯგუფი:** „პორტო“ (პორტუგალია), „ეინდჰოვენი“ (ჰოლანდია), „მილანი“ (იტალია), „გეტებორგი“ (შვეცია). ცსკა-„მარსელის“ შეხვედრას დღეს 22 საათზე და 20 წუთზე გადასცემს „ოსტანკინოს“ ტელესტუდია.

თასების მფლობელთა თასზე მეოთხედფინალს შემორჩნენ მოსკოვის „სპარტაკი“, როტერდამის „ფეიენოორდი“ (ჰოლანდია), „სპარტა“ (პრაღა, ჩეხეთი), „პარმა“ (იტალია), „ოლიმპიაკოსი“ (პირეოსი, საბერძნეთი), „ატლეტიკო“ (მადრიდი, ესპანეთი), „სტეაუა“ (ბუქარესტი, რუმინეთი), „ანტვერპენი“ (ბელგია).

დაბოლოს, უეფას თასის მეოთხედფინალში თამაშობენ: „ოსერი“ (საფრანგეთი), — „აიაქსი“ (ჰოლანდია), „რეალი“ (მადრიდი, ესპანეთი) — „პარი სენ-ჟერმენი“ (საფრანგეთი), „რომა“ (იტალია) — „ბორუსია“ (დორტმუნდი, გერმანია), „იუვენტუსი“ (ტორინო, იტალია) — „ბენფიკა“ (ლისაბონი, პორტუგალია).

მსოფლიო ჩემპიონატი

კაიროში გაიმართა 1994 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრა, ეგვიპტის ნაკრებმა ანგარიშით 2:1 დაამარცხა ზიმბაბვეს გუნდი და მოიპოვა შემდგომ ეტაპზე თამაშის უფლება. ამ მატჩში დაწინაურდნენ ზიმბაბველები, მაგრამ მასპინძლებმა პირველ ტაიმშივე გაიტანეს ორი ბურთი და შემდგომში შეინარჩუნეს კიდეც ანგარიში.

ეგვიპტისა და ზიმბაბვეს გუნდებმა თავიანთ ჯგუფში 9-9 ქულა მოაგროვეს, მაგრამ გატანილი და გაშვებული ბურთებით უკეთესი ბალანსით უპირატესობა მიენიჭათ ეგვიპტელებს, რომლებიც კანაგრძობენ ბრძოლას ფინალური ტურნირის საგზურის მოსაპოვებლად.

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ეგვიპტე	6	4	1	1	11-4	9
ზიმბაბვე	6	4	1	1	9-6	9
ანგოლა	4	0	2	2	2-4	2
ტოგო	4	0	0	4	2-10	0

ფეხბურთის სტატისტიკა უყვარს

არსებობს ფეხბურთის ისტორიის საერთაშორისო ფედერაცია, რომლის სამდივნო გერმანიის ქალაქ ვისბადენშია. ახლახან გამოვიდა ამ ორგანიზაციის მიერ მიკვლეული რამდენიმე საინტერესო სტატისტიკური ცნობა.

● **1992 წლის** მსოფლიო ფეხბურთის საუკეთესო ბომბარდირი ყოფილა ჰონდურასის ნაკრებისა და ქ. ტეგუსიგალპას „დეპორტივო მოგატუას“ თავდამსხმელი ცეზარ აუგუსტო ობანდო, რომელმაც ოფიციალურ საერთაშორისო შეხვედრებში 12 ბურთი გაიტანა. ზუსტად ასეთივე შედეგები აქვთ ჰოლანდიელ დენის ბერგკამპსა და ბრაზილიელ რაის (ამ უკანასკნელის სრული სახელია რაი დე სოზა ვეიირა დე ოლივეირა), მაგრამ ჰონდურასელ ფეხბურთელს უპირატესობა მიენიჭა იმის გამო, რომ ეს თორმეტივე ბურთი მან ნაკრების შეხვედრებში გაიტანა (ბერგკამპის ანგარიშზეა უეფას თასზე გატანილი 5 ბურთი, რაისა — სამხრეთ ამერიკის ჩემპიონთა თასზე (4) და საკონტინენტთაშორისო თასის ფინალში გატანილი (2) გოლები).

დადგინდა მომდევნო ადგილებიც: იოზეფ კიპრიხი (უნგრეთის ნაკრები და როტერდამის „ფეიენოორდი“) — 10, აქედან 6 ნაკრებში, 4 — კლუბში, აბდულა ტრაორე (კოტ დივუარის ნაკრები და აბიჯანის „ასეკ მიმოსასი“) — 10 (5და 5), იან რაში (უელსის ნაკრები და ინგლისის „ლივერპული“ — 10 (4 და 6), ფერნანდო რუის იერო (ესპანეთის ნაკრები და მადრიდის „რეალი“) — — 10 (3 და 7), ლუის რობერტო ალვეს ზაკე (მექსიკის ნაკრები და მეხიკოს „ამერიკა სიადად დე მექსიკო“) — 10 (3 და 7), ხუან ფრანსისკო ურიბე (მექსიკის ნაკრები და „დეპორტივო ლეონი“) — 9 (ყველა — ნაკრების შემადგენლობაში), ჟან-პიერ პაპენი (საფრანგეთის ნაკრები, მარსელის „ოლიმპიკი“ და იტალიის „მილანი“) — 9 (7 და 2).

● **1992 წლის** აზიის საუკეთესო ფეხბურთელად მიჩნეულია იაპონელი კაზუიოში მიურა, ხოლო ოკეანეთისა — ახალზელანდიელი უაინტონ რუფერი, რომელიც გერმანიის ქალაქ ბრემენის „ვერდერში“ გამოდის.

● **გამოავლინეს** მსოფლიოს საუკეთესო არბიტრი შარშანდელი სეზონის შედეგების მიხედვით. ასეთად მიიჩნიეს გერმანელი არონ შმიდჰუბერი.

● **ოდნავ** უფრო ადრე გამოვლინდა მსოფლიოს საუკეთესო მეკარე. ეს წოდება მიენიჭა ევროპის ჩემპიონს, დანიელ პეტერ შმაიხელს.

● საერთაშორისო შეჯიბრებათა სტატისტიკურ ანალიზში ნათქვამია, რომ 1992 წელს სხვადასხვა ქვეყნების ნაკრები გუნდების დონეზე გაიმართა 1127 მატჩი. ამ შეხვედრებში, აგრეთვე საკონტინენტო და საკონტინენტთაშორისო თასებში სულ გატანილია 2975 ბურთი, ე. ი. საშუალოდ 2, 64 ყოველ მატჩში. გამოირკვა, რომ წლის მეორე ნახევარში შედეგიანობა შედარებით უფრო მაღალი იყო, ვიდრე პირველ ნახევარში. ვარაუდობენ, რომ შედეგიანობის ასეთი ზრდა მოხდა მეკარეებისთვის უკან ბურთის გადაცემის აკრძალვის მიზეზით. წლის პირველ ნახევარში შედეგიანობა იყო 2.76, მეორეში — 2,46.

ჭადრაკი

ლიდერები და მდევრები

მართალია, თბილისელმა გიორგი ყაჭეიშვილმა მეცხრე ტურში ოდნავ წაიფორხილა — ნახევარი ქულა დაკარგა თანაქალაქელ ვიქტორ დუნდუასთან შეხვედრაში, მაგრამ 11 ტურის მერე 10,5 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობს 18 წლამდე მოჭადრაკე ვაჟების მსოფლიო პირველობის შესარჩევ რესპუბლიკურ პირველობას. ამ დანაკარგის მერე მან მეათე ტურში ქუთაისელ ალექსანდრე ყაშაშვილს მოუგო, მეთერთმეტეში — ბათუმელ კახა კვიცინაძეს და ფინიშამდე 4 ტურით ორი ქულანახევრით უსწრებდა უახლოეს მდევარს ყაშაშვილს, რომელმაც, თავის მხრივ, შავებით ქულები „აართვა“ თბილისელებს: კახა ქორქოლიანს და დემურ სალირაშვილს. ახლა ყაშაშვილსღა თუ შეუძლია საგზურისთვის ბრძოლაში კონკურენცია გაუწიოს ლიდერს, თორემ რუსთაველ თამაზ გელაშვილს, ქორქოლიანსა და თბილისელ დათო ხაჩიძეს, რომლებსაც 7,5-7,5 ქულა აქვთ, საუკეთესო შემთხვევაში II ან III ადგილებისთვის ბრძოლის შანსი თუ დარჩათ.

ყაჭეიშვილი ევროპის გუნდური ჩემპიონატის მონაწილეა და სულ მალე საქართველოს სხვა 4 მოჭადრაკესთან ერთად ჩაებმება მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა გამოსავლენ ახალი ციკლის ზონალურ ასპარეზობაში.

რაც შეეხება ამავე ასაკის გოგონების შესარჩევ ტურნირს, რომელიც ასევე თბილისის ჭადრაკის სასახლეში გრძელდება, უდანაკარგოდ ლიდერობს თბილისელი მირანდა ხორავა. მას 6-დან 6 ქულა აქვს. IV-VI ტურების პარტიებში მირანდამ თანმიმდევრობით დაამარცხა თბილისელები: ხათუნა კობალაძე, თეა კილაძე და ლილე ცალუღელაშვილი. ფინიშამდე 3 ტურით ადრე ხორავა ნახევარი ქულით სჯობნიდა თანაქალაქელ ნატო ეძგვერაძეს, რომელმაც II ტურში თბილისელ თამარ ფაჩულიას „დაუთმო“ ნახევარი ქულა.

მკითხველი — გაზეთი

თბილისელი სპორტის მოყვარულები ბ. და ლ. ოტიაშვილები გვწერენ: „გთხოვთ მოგვითხროთ სპორტულ კომენტატორ ვლადიმერ ნიკოლაიშვილზე, რომელსაც აგერ უკვე 8 წელია შესანიშნავად მიჰყავს ფეხბურთში ეროვნული ჩემპიონატის რადიოგადაცემები“.

ვ. ნიკოლაიშვილმა, როგორც თბილისელი ბიჭების უმეტესობამ, სპორტთან ნაცნობობა ე. წ. ქუჩის ფეხბურთით დაიწყო, მერე კი კალათბურთმა გაიტაცა. ეს სიყვარული სასკოლო გუნდიდან (იმხანად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დავით ქამუშაძესთან ვარჯიშობდა) პედაგოგიურ ინსტიტუტშიც გაჰყვა — აქ, ფილოლოგიის ფაკულტეტზე სწავლისას, არაერთხელ დაუცავს ინსტიტუტის ღირსება საქალაქო, რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო შეჯიბრებებში.

საქართველოს ტელერადიომაუწყებლობის სპორტული პროგრამების მთავარ რედაქციაშიც სპორტის სიყვარულმა მიიყვანა ვლადიმერი — ერთხანს კორესპონდენტად მუშაობდა, მერე კომენტატორად. ამჟამად რედაქციის პასუხისმგებელი მდივანია.

ბუნებით კეთილსა და მოსიყვარულე ადამიანს ტკბილი ოჯახი, 15 წლის ქალიშვილი და უამრავი ნაცნობ-მეგობარი ჰყავს.

მხოლოდ გამარჯვებულები

საქართველოს პირველობა სამბოში 1973-74 წლებში დაბადებულთა შორის. რუსთავი.

48 კგ. გივი ასათიანი (ზუგდიდი), **52.** ზვიად მეშველიანი, **57.** ბესიკ ოდიშვილი (ორივე — თბილისი), **62.** ანდრო ჯავახიშვილი, **68.** იოსებ ათაბეგაშვილი (ორივე — საგარეჯო), **74.** ბადრი ყვავილაშვილი (რუსთავი), **82.** მამუკა ჯანანაშვილი. **90.** ივანე გამხიტაშვილი (ორივე — კასპი), **100.** მიხეილ ყუშიტაშვილი (საგარეჯო), **მძიმე** — ჯამბულ ქამხაძე (კასპი).

სპეციალური პრიზები საუკეთესო ტექნიკოსთვის გადაეცათ ანდრო ჯავახიშვილსა და ბადრი ყვავილაშვილს. როგორც სამბოს ფედერაციიდან გვაცნობეს, ამ შეჯიბრებაში მოხდა ინციდენტი: თბილისელი მიხეილ აბაშიძე მსაჯთან კამათისთვის ასპარეზობიდან მოხსნეს. ეს მისთვის ბოლო გაფრთხილებაა და განმეორების შემთხვევაში მიეცემა სამუდამო დისკვალიფიკაცია.

მუდამ ფიცხელი ორთაბრძოლები...

მოგეხსენებათ, ყოველი შინაური შეჯიბრება მომავალი დიდი ასპარეზობების სამზადისიც გახლავთ. აქ ამოწმებენ მწვრთნელები სპორტსმენთა მზადყოფნას, დგება ნაკრები გუნდი... ასე იყო ახლაც თბილისში, დიღმის ჭიდაობის კომპლექსში გამართულ 1976-78 წლებში დაბადებულ ჭაბუკ ძიუდოისტთა რესპუბლიკურ პირად-გუნდურ პირველობაზე. ამ ასაკის ჭაბუკებს სულ მალე ანზორ კიკნაძის სახელობის თბილისის საერთაშორისო ტურნირსა და ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ დღეებში მონაწილეობა უწევთ. ჭაბუკთა ასპარეზობა, ტრადიციისამებრ, მუდამ ფიცხელი ორთაბრძოლებით გამოირჩევა და არც ეს პირველობა იყო გამონაკლისი. მაყურებელმა ბევრი საინტერესო ორთაბრძოლა იხილა, სპეციალისტების კარგი შეფასება დაიმსახურეს ქარელელმა მამუკა მაზმიშვილმა, გორელმა ანზორ ზაუტაშვილმა, ახმეტელმა მერაბ იოსებაშვილმა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ფინალური ორთაბრძოლა 78 კგ წონით კატეგორიაში თბილისელ ლევან ციგრიაშვილსა და დუშელ ივერი ჯიქურაულს შორის. მიუხედავად ასაკისა. ორივე მოჭიდავე ერთურთისთვის უკვე ტრადიციული მეტოქეა. ამ კვლავაც მეტად საინტერესო შეხვედრაში ლ. ციგრიაშვილმა იმარჯვა.

ასპარეზობის დამთავრების შემდეგ ვესაუბრეთ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების უფროს მწვრთნელს **თამაზ კარიაულს**.

— ჭაბუკთა მომზადება დამაკმაყოფილებელია, თუმცა, როგორც ჩანს, ზამთარმაც იქონია გავლენა — ყინვა -სიცივის გამო ადგილებზე წვრთნა, ეტყობა, არ იყო ინტენსიური. სასიამოვნოა, რომ გაუმჯობესდა მუშაობა საგარეჯოში, ტრადიციულად კარგად „გამოიყურებიან“ თბილისის, გორის, ახმეტის წარმომადგენლები, გამოჩნდნენ პერსპექტიული მოჭიდავეები დუშეთიდან, ქარელიდან, მარნეულიდან. გულდასაწყვეტია, რომ აგერ უკვე მერამდენე შეჯიბრებაში გაურკვეველი მიზეზებით არ მონაწილეობენ თელაველი სპორტსმენები. მოგეხსენებათ, ამ ასაკის სპორტსმენი ოსტატობის დასახვეწად ბევრ ტურნირში უნდა მონაწილეობდეს, მაგრამ სამწუხაროდ, მრავალ მიზეზთა გამო ყველგან ვერ ვახერხებთ წასვლას. თუმცა, ჭაბუკებს ჩვენი ძიუდოს ფედერაციისგან ყურადღება არ აკლიათ და, იმედია, საერთო გარჯა მომავალში უთუოდ გამოიღებს ნაყოფს.

ტექნიკური შედეგები:

46 კგ. 1. მამუკა მაზმიშვილი (ქარელი), 2. შოთა შარუმაიძე (დედოფლისწყარო), 3. ვანო ბექაური (ახმეტა) და დათო ნადარაია (თბილისი). **50:** 1. ანზორ ზაუტაშვილი (გორი), 2. ზურაბ ჯიმშიტაშვილი (ახმეტა), 3. ზაზა ზვიადაური (თბილისი) და იაგო მიშელაშვილი (დუშეთი). **55:** 1. ზვიად ბეჟანიშვილი (მარნეული), 2. ლევან მალანია, 3. იოსებ რობაქიძე (ორივე — თბილისი) და გიორგი გოდუაძე (ქუთაისი). **60:** 1. მერაბ იოსებაშვილი (ახმეტა), 2. ქართლოს თედიაშვილი (საგარეჯო), 3. ილია ქოთალაშვილი (ქარელი) და აკაკი ჩიმჩიური (თბილისი). **65:** 1. ნუკრი ვარდანაშვილი (თბილისი), 2. ემზარ რაზმაძე. 3. დავით ბზიშვილი (ორივე — გორი) და თამაზ შათირიშვილი (ახმეტა). **71:** 1. სანდრო მამარდაშვილი (საგარეჯო), 2. მალხაზ შერაზადაშვილი, 3. გიორგი გუგავა და ზვიად ჯაფარიძე (სამივე — თბილისი). **78:** 1. ლევან ციგრიაშვილი (თბილისი), 2. ივერი ჯიქურაული (დუშეთი), 3. ივანე კობახიძე (თბილისი) და ამირან ტაბლიაშვილი (გარდაბანი). **მძიმე.** 1. ლევან გაგნიძე (თბილისი), 2. რატი ფერაძე (ზესტაფონი). 3. ზაზა გიკაშვილი (რუსთავი) და ზვიად მეტონიძე (ქუთაისი). **გუნდური:** I თბილისი, II ახმეტა, III გორი.

ალექსანდრე კოტრიაშვილის ფოტო.

არადა, ლამაზი, მომხიბლავი გოგო ბალერინობაზე ოცნებობდა

(დასასრული)

ოლიმპიადის ჩემპიონის გიზელა მაუერმაიერის მსოფლიო რეკორდს — 48,31. მ.

კილოგრამიან ბადროს ნინოს ხელში მოსვენება არ ჰქონდა, ორნახევარმეტრიან წრეში სულ რაღაც რამდენიმე წამში იდეალური ტყორცნის შესასრულებლად დუმბაძე, რომ იტყვიან, სტადიონზე ათენ-ალამებდა. ამ დროისათვის იგი უკვე თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად (მანამდე რამდენიმე ხანს მოსკოვში დაჰყო, სადაც ახალ მწვრთნელთან ვარჯიშობდა, მაგრამ შედეგები აშკარად გაუუარესდა) და ტანთ ახლა „დინამოს“ თეთრ-ცისფერი მაისური მოიზომა.

1938 წლის სეზონი იწურებოდა. ნინომ დახმარება სთხოვა მძლეოსნობის ცნობილ სპეციალისტს ბორის დიაჩკოვს, რომელიც მალე მისი მეუღლე გახდა. დაიწყო დაუღალავი, მართლაც რომ ფილიგრანული ვარჯიშები. რეკორდსმენი მოგვიანებით აღნიშნავდა, რომ მსოფლიო რეკორდის დასამყარებლად იმ წელს მან 480 ვარჯიში ჩაატარა და 5.000-ზე მეტი ტყორცნა შეასრულა. თითქოს მიღწეულია ტყორცნის იდეალი, ტექნიკასაც უკვე ვერაფერს შემატებ, მაგრამ... კიდევ და კიდევ დუმბაძე და დიაჩკოვი თვლიდნენ, რომ კიდევ რაღაც დეტალია დასახვეწი, ცოტაც, ცოტაც და... რამდენჯერ უფიქრია იმ წუთებში დალლილ ნინოს სინანულით, რატომ არ გაჰყვა საყვარელ ლიტერატურას, რატომ არ ჩააბარა ნანატრ ფილოლოგიურზე...

1939 წლის 18 სექტემბერს მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე გამართულ დიდ სპორტულ ზეიმზე ნინო დუმბაძის ღონიერი ხელით ნატყორცნმა ბადრომ 49,11 მეტრი იფრინა, რაც თითქმის მთელი მეტრით აღემატებოდა მსოფლიო რეკორდს. ამას მოჰყვა თბილისში თვენახევრის შემდეგ ნაჩვენები 49,51 მ. სამწუხაროდ, არც პირველი, არც მეორე მიღწევა არ ჩაითვალა მსოფლიო რეკორდად, ვინაიდან სსრ კავშირი ჯერ კიდევ არ შედიოდა მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციაში.

1940 წელს ნინო დუმბაძე შეჯიბრებებში არ გამოდიოდა — ვაჟიშვილი, იური შეეძინა. მერე ომის წლებმა შეუშალა ხელი და მხოლოდ 1944 წელს შეძლო მან გ. მაუერმაიერთან დიდი ხნის დაუსწრებელი ბრძოლის გაგრძელება — 14 სექტემბერს მოსკოვში 49,88 მეტრზე ტყორცნა ბადრო, ფაქტიურად, მეცხრედ გადალახა მსოფლიო რეკორდის ზღვარი!

ბევრს მიაჩნდა, რომ ამით ნინომ წერტილი დაუსვა თავის მიღწევებს, რომ ქალისთვის 50 მეტრი საბოლოო ზღვარია. ნურას უკაცრავად! 1946 წლის 29 აგვისტოს ევროპის ჩემპიონატზე ნორვეგიის ქალაქ საარპსბორგში ნინომ კონტინენტის ჩემპიონის ოქროს მედალიც მოიპოვა შედეგით 50,50 მ. ამიერიდან იგი მსოფლიოს ოფიციალური რეკორდსმენი იყო. „ბედნიერი ვარ, რომ ასეთი ტყორცნა ვიხილე!“ — აღტაცებით აღმოხდა ბატონ ჰელგესერს — ნორვეგიის მძლეოსნობის კავშირის პრეზიდენტს.

ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრების წინ, ერთ-ერთ ვარჯიშზე ნინოს უცხოელმა კორესპონდენტმა ჰკითხა, რა შედეგს მიიჩნევთ „ჰერადო“. მალე 53 მეტრამდე გავზრდი პირად რეკორდსო, უპასუხია ნინოს. ერთი თვის შემდეგ დუმბაძის სახელზე მოვიდა გაზეთი, სადაც დაბეჭდილი იყო ინტერვიუ მასთან სათაურით „ 53 მ.?“

ნ. დუმბაძემ სიტყვა შეასრულა— 1948 წლის 8 აგვისტოს მოსკოვში „დინამოს“ საიუბილეო სპორტულ ზეიმზე ბადრო 53,25 მ ტყორცნა.

იმავე წელს ნინო დუმბაძე ერთ-ერთი დელეგაციის შემადგენლობაში პოლონეთს ეწვია. ვარშავის სპორტულ ბაზებს ათვალიერებდა სხვებთან ერთად.

— პანი დუმბაძე — მოესმა უცებ — მიცანით? მე ის კორესპონდენტი ვარ ინტერვიუ რომ ავიღე თქვენგან. თურმე პირობის შესრულება გცოდნიათ. ახლა რა შედეგს ჰპირდებით მძლეოსნობის მოყვარულებს?

— 56 მეტრი!

— გმადლობთ, ამის შესახებ, მე ისევ დავწერ ჩემს გაზეთში, მხოლოდ ამჯერად კითხვის ნიშანს აღარ დავსვამ!

ნინო დუმბაძემ არ „გააწბილა“ უცხოელი ჟურნალისტი და თბილისში 1952 წლის 18 ოქტომბერს ბრწყინვალე შედეგი აჩვენა — 57 მეტრი და 4 სანტიმეტრი, რაც 3,5 მეტრზე მეტით აღემატებოდა ოლიმპიური ჩემპიონის ნინა რომაშკოვა-პონომარიოვას მსოფლიო რეკორდს. ეს იყო დიდებული ქართველი სპორტსმენის, სპორტის დამსახურებული ოსტატის, ევროპის ორგზის ჩემპიონის, ჰელსინკის XV ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორის, მრავალგზის საკავშირო ჩემპიონის, მსოფლიო რეკორდსმენის ნინო დუმბაძის უკანასკნელი მიღწევა. სხვათა შორის, მთელი 8 წელიწადი „იცოცხლა“ ამ რეკორდმა.

სპორტში მჯობნის მჯობნს რა გამოლევს. ოლიმპიურ რომში გამარჯვებით (57,15) დაიწყო ნევისპირელი მძლეოსნის თამარა პრესის ეპოქა (თუმცა მას მამაკაცის ჰორმონები აღმოაჩნდა და მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ ყველა მისი შედეგი გააუქმა), მერე სხვებიც გამოჩნდნენ — ირინა სოლნცევა, თამარა დანილოვა...

აქ არაფერი ან თითქმის არაფერი გვითქვამს ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების შესახებ, რომლის გახსენება მაინცდამაინც არ უყვარდა ქალბატონ ნინოს. როგორც იცით, იქ ნინო დუმბაძე მხოლოდ მესამე იყო ნინო რომაშკოვასა და ელიზავეტა ბაგრიანცევას შემდეგ. არადა, ნინო ხომ მთელი 10 მეტრით სჯობნიდა თავის მეტოქეებს, ყოველ შემთხვევაში, „მუდმივად მეორეს“ ნ. რომაშკოვას მისთვის მანამდე მხოლოდ ერთხელ ჰქონდა მოგებული — მინსკში, 1951 წელს (49,78 მ).

ოლიმპიურ ჰელსინკში პირველ ტყორცნაზე ნ. დუმბაძემ მხოლოდ 45 მეტრსა და 85 სანტიმეტრზე გაგზავნა ბადრო. ბაგრიანცევამ 43,58 აჩვენა, რომაშკოვამ — 45 მ. მეორე ცდაზე ნინომ უფრო გააუარესა შედეგი, ბაგრიანცევამ 2 მეტრი წაუმატა ნატყორცნს, რომაშკოვამ კი მთელი 3 მეტრი და 21 სანტიმეტრით გააუმჯობესა მაუერმაიერის ძველი ოლიმპიური რეკორდი (47,63), რომელიც, მან 1936 წელს დაამყარა ბერლინის თამაშებზე. ფინალურმა ექვსეულმა კიდევ სამ-სამი ცდის უფლება მიიღო. საბოლოოდ ნ. რომაშკოვამ ჩემპიონობა დაისაკუთრა (51,42 მ), ე. ბაგრიანცევა მეორე იყო (47,08), ნ. დუმბაძე — მესამე (45,85).

მართლაც დასანანი მარცხი გახლდათ, მით უფრო, რომ ნინო დუმბაძემ ჰელსინკის ოლიმპიადის დამთავრებიდან ზუსტად 3 თვის შემდეგ თბილისში, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, დიდებულ შედეგს მიაღწია.

...ჟურნალისტის დაჟინებისა მოგეხსენებათ და ერთ-ერთი შეხვედრის დროს ვერ მოვითმინე და ქალბატონ ნინოს დიდი ხნის ნაფიქრ — „ნაწვალები“ დელიკატური კითხვა დავუსვი როგორც იქნა.

— როგორი ჩაციება იცით ჟურნალისტებმა — შევატყვე, რაღაც უხერხულად გაეღიმა — რა მოხდა და... წმინდა სპორტული თვალსაზრისით არაფერი... იმ დღეს ჰელსინკში უბრალოდ შეუძლოდ ვიყავი. მაინც რა მიუხვედრელები ხართ ზოგჯერ მამაკაცები...

ოთარ ნოზაძე

ტელეფაქსი-მკითხველი

● **მიუნხენი.** ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირზე („მასტერსი“) გათამაშდა ოქროს მედლები ორ წონაში და ორივეჯერ წარმატებას ადგილობრივმა ათლეტებმა მიაღწიეს. 65 კგ-ში პირველი იყო უდო კველმალცი, 95 კგ-ში — მარკ მეილინგი. ქალებში 48 კგ წონის ათლეტთა ტურნირი მოიგო იაპონელმა იმიკო ეტომ.

● **როტერდამი.** აქ დამთავრებულ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 600 ათასი დოლარი) პირველი იყო შვედი ანდერს იარიდი, რომელმაც ფინალში ჩეხ კარელ ნოვაჩეკს მოუგო — 6:3, 7:5.

● **ლილეჰამერი.** ბობსლეისტთა (ორადგილიანი) მსოფლიო თასის მეშვიდე ეტაპზე პირველი იყო იტალიის დუეტი (გიუნტერ ჰუბერი და სტეფანო ტიჩი). თანაც მათ მეორე ცდაზე მომავალი ოლიმპიური ტრასის რეკორდი გააუმჯობესეს — 53.40.

● **ლეიკ-პლესიდი** (აშშ). საციგაო სპორტში მსოფლიო თასის ბოლო ეტაპი და მასთან მთავარი პრიზი დაისაკუთრა ავსტრიელმა მარკუს პროკმა — 226 ქულა.

● **იკაჰო** (იაპონია). სპრინტერ მოციგურეთა შორის მსოფლიო ჩემპიონის ტიტულები მოიპოვეს: ქალებში — ე. ციაობომ (ჩინეთი), ვაჟებში — იგორ ჟელეზოვსკიმ (ბელარუსი).

სპორტული მარტი

რესპუბლიკური შეჯიბრებები

1-12. საერთაშორისო შაში. საქართველოს ქალთა ჩემპიონატი. თბილისი (ჭადრაკის სასახლე).

4-7. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. საქართველოს პირველობა 1975-1976 წლებში დაბადებულთა შორის. სამტრედია.

4-7. სამბო. საქართველოს ჩემპიონატი. თბილისი („მართვეს“ ჭიდაობის სპორტული კომპლექსი).

5-12. კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი ქალთა გუნდებს შორის. თბილისი (ვერეს ბაღის კალათბურთის სასახლე).

8-12. სპორტული აკრობატიკა. საქართველოს პირველობა. თბილისი („მართვეს“ სპორტული კომპლექსი. ც. დადიანის ქ. 134).

10-13. თავისუფალი ჭიდაობა. საქართველოს პირველობა 1977-1978 წლებში დაბადებულთა შორის. თბილისი (ოლიმპიური რეზერვების ჭიდაობის სპორტული კომპლექსი).

10-16. სპორტული ტანვარჯიში. საქართველოს თასი. თბილისი (სანაპირო, ტანვარჯიშის სპორტული კომპლექსი).

11-13. ძიუდო. საქართველოს პირველობა კლუბებს შორის. თბილისი („მართვეს“ ჭიდაობის სპორტული კომპლექსი).

14-19. კრივი. საქართველოს პირველობა. თბილისი (შრომითი რეზერვების დარბაზი).

15-19. ცურვა. საქართველოს პირველობა. რუსთავი.

15-19. კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი ვაჟთა გუნდებს შორის. I ფინალური ტური (1-6 ადგილები). თბილისი (ვერეს ბაღის კალათბურთის სასახლე).

17-20. თავისუფალი ჭიდაობა. საქართველოს პირველობა 1975-1976 წლებში დაბადებულთა შორის. თბილისი (ოლიმპიური რეზერვების ჭიდაობის სპორტული კომპლექსი).

19-21. ძიუდო. ა. კიკნაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი. თბილისი („მართვეს“ ჭიდაობის სპორტული კომპლექსი).

20-24. ხელბურთი. საქართველოს პირველობა ქალთა გუნდებს შორის. თბილისი (გლდანი. ხელბურთის სპორტული სკოლა).

22-27. ფარიკაობა. საქართველოს პირველობა 1976-1977 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. თბილისი (ფარიკაობის დარბაზი).

23-26. ქართული ჭიდაობა. საქართველოს პირველობა სპორტსაზოგადოებებს შორის (1976-1977 წლებში დაბადებულთა შორის. ხაშური).

23-27. კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი ვაჟთა გუნდებს შორის. I ფინალური ტური (7-11 ადგილი). თბილისი (ვერეს ბაღის კალათბურთის სასახლე).

25-31. ხელბურთი. საქართველოს პირველობა ვაჟთა გუნდებს შორის. თბილისი (სტუ, IX კორპუსი).

29-1/IV. ფრენბურთი. საქართველოს მესამე ეროვნული ჩემპიონატი ვაჟთა გუნდებს შორის (V-VIII ადგილი). თელავი.

საერთაშორისო შეჯიბრებები

1-7. კრივი. მოსკოვის ღია ჩემპიონატი. მოსკოვი.

5-7. სინქრონული ცურვა. საერთაშორისო ტურნირი. სანქტ-პეტერბურგი.

6-9. თავისუფალი ჭიდაობა. დ. კოლევის საერთაშორისო ტურნირი. სოფია.

6-14. ფრისტაილი. მსოფლიო ჩემპიონატი. ავსტრია.

11-15. ხელბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი ჭაბუკთა შორის. პოლონეთი.

11-16. წყალში ხტომა. საერთაშორისო ტურნირი. მოსკოვი.

12-14. თავისუფალი ჭიდაობა. ა. მედვედის საერთაშორისო ტურნირი. მინსკი.

13-14. ფარიკაობა. საერთაშორისო ტურნირი „ბერლინის თეთრი დათვი“ (დაშნა — ვაჟები). გერმანია.

14-17. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. კრასნოდონის საერთაშორისო ტურნირი. კრასნოდონი.

24-28. წყალბურთი. მსოფლიო თასი (საკვალიფიკაციო თამაშები). მოსკოვი.

26-28. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. საერთაშორისო ტურნირი. გერმანია.

26-28. სპორტული ტანვარჯიში. საერთაშორისო ტურნირი „მსოფლიო ვარსკვლავები“. მოსკოვი.

26-28. მხატვრული ტანვარჯიში. საერთაშორისო ტურნირი. ბელგია.

27-28. ძიუდო. საერთაშორისო ტურნირი. იტალია.

31-3/IV. წყალბურთი. იუნიორ წყალბურთელთა მე-7 მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი თამაშები. იტალია.

31-4/IV. თანამედროვე ხუთჭიდი. საერთაშორისო ტურნირი. მინსკი.

სასწავლო-საწვრთნელი შეკრებები

1-20. ძიუდო. ა. კიკნაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირისათვის. თბილისი.

1-26. მძლეოსნობა. ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ დღეებისათვის. თბილისი.

9-1/IV. საგზატკეცილო ველოსპორტი. საერთაშორისო შეჯიბრებაში მონაწილეობისათვის. თბილისი.

10-17/IV. ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატისთვის. თბილისი.

11-30. ველოსპორტი; სპეციალურ მომზადებაში. თბილისი.

14-28. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. ევროპის ჩემპიონატისათვის. ბორჯომი.

14-31. კრივი. თურქეთის საერთაშორისო ტურნირისათვის. თბილისი.

16-31. ძიუდო. ევროპის ჩემპიონატისათვის. ბორჯომი.

24-10/IV. კრივი. ერთობლივი შეკრება რუსეთის ფედერაციის გუნდთან. კისლოვოდსკი.

ვინ აჯობებს ქარიმ აბდულ ჯაბარს?

ძნელი დასაჯერებელია, რომ ვინმემ უახლოეს დროში მოახერხოს ეს. საქმე ის გახლავთ, რომ ამერიკელ კალათბურთელს სხვა მიღწევებთან ერთად ეკუთვნის ნბა-ს ერთი უნიკალური რეკორდი: „პლეი ოფის“ მატჩებში დაგროვილი აქვს 5762 ქულა და, ამდენად, ითვლება ამ ციკლის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირად. ეს მართლაც ფანტასტიკური მაჩვენებელია, მაგრამ ერთი რამ მაინც უნდა ვიცოდეთ: აბდულ-ჯაბარი სეზონებშორისო სერიებში ზედიზედ 18 წელი თამაშობდა.

რას ნიშნავს ეს, ძნელი გასაგები არ უნდა იყოს, თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ ნბა-ს დღევანდელ სნაიპერს მაიკლ ჯორდანს მხოლოდ 8 სეზონის „პლეი ოფში“ აქვს მონაწილეობა მიღებული. ამიტომ მისი შედეგი შორს არის ჯაბარის რეკორდისგან და სადღაც პირველი ათეულის შუაგულში იმყოფება. წლევანდელი სეზონის მოქმედ კალათბურთელთაგან (ახლა მანაც დაამთავრა გამოსვლა) ათეულში იმყოფება ლარი ბიორდი — III ადგილი 3886 ქულით.

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისის ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი

(აკ. წერეთლის გამზირი, № 2)

ფეხბურთი

საქართველოს რესპუბლიკის თასის გათამაშების მერვედფინალური მატჩი

6 მარტი

„დინამო“ (თბილისი) — „კოლხეთი“ (ფოთი)

დასაწყისი 14 საათზე

ბილეთები იყიდება სტადიონის სალაროებში 5 და 6 მარტს 10 საათიდან.

გაზეთ „ლელოს“ რედაქციის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ გამომცემლობა „სამშობლოს“ დირექტორის მოადგილეს ჯემალ ხუჯაძეს

დედის

გარდაცვალების გამო.

დიდი და პატარა ჩემპიონები

ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ახალი წესებით ჩატარდა თბილისში 16-17 წლის სპორტსმენთა რესპუბლიკური პირველობა და ეს სიახლე, უპირველესად, წონით კატეგორიებს შეეხებოდა. სპორტკლუბ „სინათლის“ დარბაზში იასპარეზეს თბილისის, ქუთაისის, საჩხერის (მათ გუნდური საპრიზო ადგილები სწორედ ამ თანმიმდევრობით გაინაწილეს), დედოფლისწყაროს, ახალციხის, თელავის, წყალტუბოსა და სხვა რაიონთა წარმომადგენლებმა.

შეჯიბრებას ინტერესი იმანაც შემატა, რომ ფიცარნაგზე ცნობილი და გამოცდილი ოსტატებიც გამოვიდნენ (ცხადია, უკონკურსოდ) —ბარსელონის ოლიმპიადის ჩემპიონი, მსოფლიო თასის მფლობელი კახი კახიაშვილი, რესპუბლიკის ნაკრების წევრი ზუგდიდელი მუხრან გოგია და სხვები. მათ საკმაოდ კარგი მაჩვენებლებით დაასრულეს ასპარეზობა. მაგალითად, კახიაშვილმა 210,5 კილოგრამი აკრა, უფრო დაბალი წონის გოგიამ — 185, მანვე 160-კილოგრამიანი შტანგა აიტაცა. ამ პირველობაზე განსაკუთრებით ისახელეს თავი დამსახურებული მწვრთნელის გურამ ფარულავას აღსაზრდელებმა: 70 კგ წონაში ანდრეი გრიშანინმა ორჭიდში 237,5 კგ მოაგროვა, 76-ში ალეკო ნოზაძემ — 222,5, 83-ში უჩა ყურაშიძემ (თელავი, შალაური) — 240. ყურაშიძის მაჩვენებელი აბსოლუტურად საუკეთესო იყო ამ ტურნირზე.

დანარჩენ წონით კატეგორიებში პირველები იყვნენ: **50.** გიორგი სარავა (ქუთაისი) — 120; **54.** არმენ თათევოსიანი (თბილისი) 182,5; **59.** პეტრე კანკია (ქუთაისი) — 180; **64.** დავით აბრამიშვილი — 222,5; **91.** ალექსანდრე ავთანდილაშვილი 230, **+91.** იური ოგანეზოვი (ყვარელი — თბილისი) — 190.

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380096, ვ. კოსტავას, 14. ☎ ტელ: 99-56-14, 99-81-71. ინდექსი 66485 INDEX დაიბეჭდა გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბაში.